ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3759758

ნომერი: AR1563395

თარიღი : 08.12.2017

გაცემის თარიღი : 28.12.2017

გაცნობის თარიღი : 28.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იულია ზაალიშვილი პ/ნ 01001021930
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 41 ბ. 51

ორგანიზაცია:
- სს ნიკორა ტრეიდი კოდი: 206255808

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: კონდიციონერების განთავსების ადგილზე შეთანხმებული პროექტის (ბრძანება №2369629) მიხედვით უნდა იყოს ღიობები, ხოლო თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (არსებული სიტუაციის ამსახველი სურათების) მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული ღიობები ამოშნებულია, რომლის კანონიერებაც ვერ დგინდება. არსებული კანონმდებლობის მიხედვით უნებართვო/დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კონდიციონერის განთავსებაზე ნებართვას ვერ გასცემს.

შესაძლებელია საკითხი დააყენოთ შეთანხმებული პროექტის კორექტირების კუთხით, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება კონდიციონერის განთავსების საკითხიც.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.